საქართველო
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
City Hall of Kutaisi Municipality


№ 01-01-21/2177
07 08 2014 წ.


4600. საქართველო. ქუთაისი. რუსთაველის გამზ. № 3
ტელ/ფაქსი: (0431) 24-54-54. ფაქსი: (0431) 24-69-62
3 Rustaveli ave. Kutaisi. Georgia. 4600
tel/Fax: (+995 431) 24-54-54. Fax: (995 431) 24-69-62


შ.პ.ს „გ.გ.გ.-2013"-ის დირექტორს
ბატონ გრიგოლ გვანცელაძეს

ბატონო გრიგოლ,

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ქალაქ ქუთაისის მერიის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების (კომისიის 01.08.2014 წლის სხდომის ოქმი №2) საფუძველზე გაცნობებთ, რომ ქალაქ ქუთაისში ბუხაიძის ქუჩაზე №6 სახლის წინ (საკ/კოდი 03.01.22.166), რუსთაველის გამზირის №№118, 120, 122 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.21.055) და ზ. გამსახურდიას ქუჩის №№1, 3, 5 ბინების წინ (საკ/კოდი 03.04.22.047) მდებარე სკვერების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისათვის საჭირო საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვისათვის გამოცხადებულ (სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.procurement.gov.ge, საკონკურსო განაცხადი №1311. 28.07.2014 წელი) კონკურსში თქვენს მიერ წარმოდგენილი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი გაცემულია დარღვევით. კერძოდ: საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტში არ არის მითითებული შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი და საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის №3 ბრძანების მე-4 მუხლის მე-8 პუნქტის გათვალისწინებით შ.პ.ს „გ.გ.გ.-2013"-ის მიერ წარმოდგენილ საკონკურსო წინადადებას მიეცა დისკვალიფიკაცია.

პატივისცემით,

ნოდარ მიქიაშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის პირველი მოადგილე,
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე